ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 24 ქ. ბათუმი
15/02/2018

24-11-4-201802151949

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის თაობაზე“ შპს „გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკის“ მიერ მომზადებული დოკუმენტაციის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მოწონების (შეთანხმების) მიზნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე, 35-ე, 37-ე, 38-ე, 39-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის №181 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის თაობაზე“ შპს „გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკის“ მიერ მომზადებული დოკუმენტაციის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მოწონების (შეთანხმების) მიზნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის მოსამზადებლად.

2. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურს უზრუნველყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება და შესაბამისი განკარგულების პროექტის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სათვის დასამტკიცებლად წარდგენა.

3. განკარგულების მომზადებისა და გამოცემისას გამოყენებულ იქნეს საჯარო ადმინის-ტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები.

4. განკარგულების პროექტის თაობაზე მოსაზრებების წარდგენის ვადა განისაზღვროს განკარგულების პროექტისა და ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნე-ბიდან 20 დღის ვადაში.

5. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურმა განკარგულების პროექტის თაობაზე მოსაზრებების წარდგენის ვადის გასვლიდან 5 დღის ვადაში უზრუნველყოს განსახილველ საქმეზე ზეპირი სხდომის გამართვა.

6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 116-ე მუხლის შესაბამისად ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე და გაზეთ „აჭარა“-ში გამოქვეყნდეს ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ.

ასლის
დამოწმება
№1

7. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 117-ე მუხლის შესაბამისად წინამდებარე განკარგულების საჯაროდ გაცნობისათვის წარდგენის მიზნით იგი გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე და გაზეთ „აჭარა"-ში.

8. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

9. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სულიკო თებიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

პ რ ო ე ქ ტ ი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №_____

_____ თებერვალი 2018 წ
ქალაქი ბათუმი

„კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის თაობაზე“
შპს „გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკი“-ს მიერ
მომზადებული დოკუმენტაციის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
მიერ მოწონების (შეთანხმების) თაობაზე

„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე, 35-ე, 37-ე, 38-ე, 39-ე მუხლების და საქართველკოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის №181 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მოწონებულ (შეთანხმებულ) იქნას „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის თაობაზე“ შპს „გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკის“ მიერ მომზადებული დოკუმენტაცია, დანართის შესაბამისად.

2. განკარგულება შემდგომი ღონისძიებების გატარებისა და საქართველოს მთავრობაზე წარდგენის მიზნით გაეგზავნოს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

ასლის
დამოწმება
№1

ცნობა

საჯარო გაცნობისათვის
დოკუმენტების წარდგენის შესახებ

ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და მისამართი – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, მეორე სართული) მიმდინარეობს „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის თაობაზე“ შპს „გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკის“ მიერ მომზადებული დოკუმენტაციის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მოწონების (შეთანხმების) მიზნით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების გამოსაცემად.

ადმინისტრაციული ორგანო, სადაც შესაძლებელია ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობა - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური (მის: ქალაქი ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25, პირველი სართული, ტელ: 27 26 28).

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მოკლე შინაარსი - განკარგულებით დაიწყო საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის თაობაზე“ შპს „გის და დზ საკონსულტაციო ცენტრი გეოგრაფიკის“ მიერ მომზადებული დოკუმენტაციის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მოწონების (შეთანხმების) მიზნით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

საკუთარი მოსაზრებების წარდგენის ვადა - განკარგულების პროექტის თაობაზე მოსაზრებების წარდგენის ვადა განისაზღვრა განკარგულების პროექტისა და ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში.

ასლის
დამოწმება
№1